

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 9

21.06.2011

ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:**

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;  
იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;  
ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

**ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:**

ა(ა)იპ - მახინჯაურის ლიცეუმის დირექტორი - ლალი ხვედელიძე;

სპს - „პრომეთეს“ დირექტორი - თეიმურაზ ბეიტრიშვილი;

შპს - თბილისის აკადემიური სკოლის დირექტორი - ზეზვა ჩივჩიური, დამფუძნებელი - ნინო თევზაძე;

შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი - რამაზ ნამიჭიშვილი;

შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება - SBA-ს დამფუძნებელი - კახაბერ ერაძე;

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი - ნათელა დოლონაძე;

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „მეტეხის“ რექტორის მ/შ - დიმიტრი კვალიაშვილი.

**ავტორიზაციის ექსპერტები:**

ნინო ფეტვიაშვილი;



რეზო ნინუა;  
ლიანა კობესაშვილი;  
კახაბერ ერაძე;  
ეკატერინე ბაღიშვილი;  
ელენე გვენცაძე;  
თინათინ კუბლაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19<sup>40</sup> სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭება;
2. სპს - „პრომეთეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება - SBA-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „მეტეხის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონიათ. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სხდომას ესწრებოდა თუ არა შპს - მახინჯაურის ლიცეუმის უფლებამოსილი წარმომადგენელი. სხდომას ესწრებოდა ლიცეუმის დირექტორი - ლალი ხვედელიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - მახინჯაურის ლიცეუმის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

# **1. შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - მახინჯაურის ლიცეუმის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა აკრედიტაციის სამართველოს კოორდინატორმა - კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც შეახსენა საბჭოს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით, შპს - მახინჯაურის ლიცეუმს მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და უარი ეთქვა ამავდროულად პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე. 2011 წლის 27 მაისს შპს - მახინჯაურის ლიცეუმმა წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-12 მუხლის შესაბამისად სურს, განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | საფეხური | კრედიტები | მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                  |
|-------------------------------------|----------|-----------|----------------------------------------------------------------------------|
| 1. გემბანის მეზღვაური               | მესამე   | 60        | გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია               |
| 2. სამანქანე განყოფილების მეზღვაური | მესამე   | 60        | სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია |
| 3. ელექტრიკოსი                      | მეორე    | 15        | ელექტრიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია                       |
| 4. ელექტრიკოსი                      | მესამე   | 30        | ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია                      |

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მესამე თავით დადგენილ ავტორიზაციის სტანდარტებს. გათვალისწინებულია ყველა ის შენიშვნა, რაც აისახა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის 2011 წლის 27 აპრილის დასკვნაში. ცენტრი

შუამდგომლობს საბჭოს წინაშე წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ 2011 წლის 21 ივნისს ცენტრში შემოვიდა შპს - მახინჯაურის ლიცეუმის განცხადება პროფესიული სტუდენტების ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, შპს - მახინჯაურის ლიცეუმი ითხოვს მისთვის განსაზღვრული 200 ადგილის ფარგლებში 10 ადგილის გამოყოფას პროფესიული სტუდენტებისათვის.

საბჭომ იმსჯელა შპს - მახინჯაურის ლიცეუმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის, სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მესამე საფეხურის, ელექტრიკოსის მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის თანახმად, შპს - მახინჯაურის ლიცეუმს მიენიჭოს გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის, სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მესამე საფეხურის, ელექტრიკოსის მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 10-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ სპს - „პრომეთეს“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სპს - „პრომეთეს“ დირექტორმა თეიმურაზ ბეიტრიშვილმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

## 2. სპს - „პრომეთეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სპს - „პრომეთეს“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, I-IV კლასებში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. სკოლა-ლიცეუმის II-IV კლასების საკლასო ჟურნალებში იწერება შეფასებები 10-ბალიანი სისტემით. რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლების მოთხოვნით არის შემოღებული. სკოლის დირექტორის განმარტებით, ამ შეფასებებს აქვს მხოლოდ სწავლებითი და წამახალისებელი ფუნქციები და არა - განმსაზღვრელი დანიშნულება. აღნიშნული ნიშნები არ გადადის მოსწავლეთა პირად საქმეებში.

ექსპერტთა დასკვნის თანახმად, აღნიშნული წესი არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა სპს - „პრომეთეს“ II-IV კლასებში ნიშნების დაწერა ხდება არაოფიციალურად, როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების არაფორმალური საშუალება.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში I-IV კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა შეფასების ფორმა იყო დაცული, შესაბამისად, სპს - „პრომეთეს“ მიერ დანერგილი შეფასების სისტემა შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

საბჭოს წევრმა, იოსებ სალუქვაძემ, სპს - „პრომეთეს“ დირექტორს თეიმურაზ ბეიტრიშვილს სთხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება.

თეიმურაზ ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ II-IV კლასებში მოსწავლეებისთვის ნიშნების დაწერის მიზეზი იყო მშობლების დაჟინებული თხოვნა და მიზნად ისახავდა მოსწავლეთათვის სათანადო სტიმულის მიცემას. დირექტორის განმარტებით, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მე-5 კლასიდან გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, მოსწავლეებისთვის უმჯობესი იქნება, თუ კი ისინი გაცილებით ადრე შეეჩვევიან ნიშნებით მათი ცოდნის შეფასებას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დანერგილი მექანიზმი იყო არა მოსწავლეთა შეფასება, არამედ ეს იყო სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მხოლოდ წახალისებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან სპს - „პრომეთეს“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

## 2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

სკოლის №2 შენობას გააჩნია მეორე შემოსასვლელი, საიდანაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუძლია სკოლის პირველ სართულზე შესვლა. პირველ სართულზე არსებულ საკლასო ოთახებში შესასვლელად საჭიროა 5-საფეხურიანი კიბის ავლა, რომელზეც იგეგმება პანდუსების დამონტაჟება. სკოლის დირექტორის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს დაცვის თანამშრომლების დახმარებით შეეძლება პირველ სართულზე არსებული 5 საფეხურის ავლა.

**ზეპირ მოსმენაზე** ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, ჰყავს თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკოლას ასეთი მოსწავლე არ ჰყავს. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტების მიზნით ჰკითხა მომხსენებელს, რომელ შენობაში არ იყო ადაპტირებული გარემო. მომხსენებელმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესი უშუალოდ მიმდინარეობდა სკოლის №2 შენობაში, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის არ იყო ადაპტირებული გარემო.

სპს - „პრომეთე“ დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების №2 შენობაში ვიწრო კიბეებია, შესაბამისად, სხვა მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის მათზე პანდუსების დამონტაჟება ვერ მოხერხდა. თეიმურაზ ბეიტრიშვილმა განმარტა, რომ მათ აქვთ ფიცარნაგი, რომელიც ასრულებს პანდუსის ფუნქციას თუ კი სკოლას ეყოლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, შეიძლება თუ არა აღნიშნული ფიცარნაგი აღქმული იყოს, როგორც დასაკეცი ხის პანდუსი. თეიმურაზ ბეიტრიშვილმა განმარტა, რომ ფიცარნაგი არის ასაწყობ-დასაშლელი ხის პანდუსი, რომელსაც გამოიყენებენ საჭიროების შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ სპს - „პრომეთე“ არის საკმაოდ ძლიერი სკოლა და თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეს იქ სწავლის სურვილი ექნება, დაწესებულება შეძლებს, რომ მას შეუქმნას შესაბამისი პირობები. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა დანიშნულების ოთახები იყო სკოლის №2 შენობის პირველ სართულზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველ სართულზე განლაგებული იყო შენობის შესასვლელი, ფოიე და სკოლის სასადილო, ხოლო საკლასო ოთახებში შესასვლელად საჭირო იყო 5-საფეხურიანი კიბის ავლა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მათ მიერ შექმნილი ფიცარნაგით შესაძლებელი იყო მოცემული საფეხურების ავლა და საკლასო ოთახში შესვლა.

იოსებ სალუქვაძემ განმარტა, რომ ადაპტირებული გარემოს არსებობა აუცილებელია არა მარტო სკოლებში, არამედ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც. თუმცა დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვინაიდან ბევრ საზოგადოებრივ დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული გარემო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ვერ იქნება ძალიან კრიტიკული. იოსებ სალუქვაძის მოსაზრებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობაზე მათ სერიოზულად უნდა იფიქრონ და ეცადონ, რომ აღნიშნული მოთხოვნა რეალურად ფუნქციონირებადი გახდეს. საბჭოს წევრმა ასევე დაამატა, რომ იგი ვერ აუკრძალავს სკოლას ფუნქციონირებას მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს ასაწყობ-დასაშლელი ფიცარნაგი.

დავით კახნიაშვილის განმარტებით, იგი დარწმუნებულია, რომ სპს - „პრომეთე“ არის ისეთი სკოლა, სადაც არც ერთ ინკლუზიურ (როგორც გადაადგილების ან ნებისმიერი სხვა პრობლემის მქონე) ბავშვს არ შეექმნება არანაირი პრობლემა. საბჭოს წევრმა ასევე დაამატა, რომ საატესტატო

გამოცდების შედეგების მიხედვით, აღნიშნული სკოლა იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

საბჭოს წევრი ნინო ძოწენიძე დაინტერესდა, რამდენი წელი არსებობს სპს - „პრომეთე“. თეიმურაზ ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა უკვე 16 წელია ფუნქციონირებს. ნინო ძოწენიძემ დაზუსტების მიზნით ჰკითხა სკოლის დირექტორს, ამ დროის განმავლობაში ხომ არ მოუმართავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს. თეიმურაზ ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ერთხელ იყო მოსული ასეთი საჭიროების მქონე მშობელი, რომელსაც შენობაში შესვლა არ გასჭირვებია, თუმცა სკოლაში ასეთ მოსწავლეს დღემდე არ უსწავლია. დაწესებულების დირექტორმა ასევე განმარტა, რომ სკოლის განცხადებების დაფაზე გამოკრულია შესაბამისი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სპს - „პრომეთე“ მზადაა, მიიღოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები. თეიმურაზ ბეიტრიშვილმა მიუთითა, რომ სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ასევე არსებობდა სწავლების განსხვავებული მეთოდები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, აღნიშნა, რომ მხოლოდ პანდუსის ქონა არ ნიშნავს სტანდარტის დაკმაყოფილებას. არსებობს სხვა საშუალებებიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან სპს - „პრომეთეს“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არსებითად დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - „პრომეთესათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 1602-ით განსაზღვრის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - „პრომეთეს“ 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 1602-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სკოლის წარმომადგენლებმა - ნინო თევზაძემ და ზეზვა ჩივჩიურმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

### **3. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის აკადემიური სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - დავით მაკარიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

#### **მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:**

1.1 შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, თუმცა იქ განთავსებულია მხოლოდ სამი სამკითხველო მაგიდა, სადაც განთავსდება სამი მოსწავლე . დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მომავალში იგეგმება მაგიდების დამატება. ამავდროულად, დაწესებულებას დადებული აქვს ხელშეკრულება სსიპ - თბილისის მთავარ ბიბლიოთეკასთან, რომლის შესაბამისადაც, სსიპ - თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა უფლებას აძლევს თბილისის აკადემიური სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს, ისარგებლონ ფალიაშვილის №41-ში მდებარე №19 ბიბლიოთეკა-ფილიალის დარბაზით და წიგნთსაცავი ფონდით, თანხმობას აძლევს ასევე ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო თევზაძემ განმარტა, რომ თუ მოსწავლეთა რაოდენობა იქნება შესაბამისი, სამკითხველო დარბაზში დამატებენ მაგიდებს. რამდენადაც, დღეის მდგომარეობით სკოლა არ ფუნქციონირებს, მოსწავლეები არ ჰყავს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მაკარიძეს ჰკითხა, ბიბლიოთეკის ფართის გათვალისწინებით რამდენი მაგიდის დამატება შეიძლება. დავით მაკარიძის განმარტებით, სამკითხველო დარბაზში სულ ათი მაგიდის განთავსებაა შესაძლებელი.

საბჭოს წევრი ნინო ძოწენიძე დაინტერესდა, რომელი კლასების მიღებას აპირებდა დაწესებულება. დავით მაკარიძემ აღნიშნა, რომ დაგეგმილია მოსწავლეების მიღება მე-7-მე-12 კლასებში.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ დღევანდელი მდგომარეობით სკოლა სტანდარტს აკმაყოფილებს, ამავდროულად შესაძლებელია სათანადო კონტიგენტის მიღების შემთხვევაში სამკითხველო დარბაზმა დაიმატოს მაგიდები და სკამები.



საბჭოს წევრი ნინო მოწენიძე დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ცალკე კომპიუტერული კლასი, სადაც მოსწავლეს ექნებოდა ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში ცალკე არსებობს კომპიუტერული კლასი, საიდანაც წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე ამჟამად არ არის, თუმცა აღნიშნულის განხორციელებას დაწესებულება გეგმავს.

1.2 შენობაში შემოსასვლელი კიბის გარდა დაწესებულების ყველა სართულის კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი. შემოსასვლელ კიბეზე პანდუსის დამონტაჟება იგეგმება ეზოს მოპირკეთების პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პანდუსის დამონტაჟებისათვის მასალა მოტანილია და ეზოს მოპირკეთების პროცესში იგეგმება მისი დამონტაჟება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით აზრი ჰკითხა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ავტორიზაციის სტანდარტი არ დარღვეულა.

საბჭომ მიიჩნია, რომ მეორე და მესამე სართულებზე პანდუსების არსებობა ადასტურებს სკოლის მზაობას, უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს არსებობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან შპს - თბილისის აკადემიური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის აკადემიური სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის აკადემიურ სკოლას 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 199-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა რამაზ ნამიჭიშვილმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

#### **4. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

##### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით**

1.1 მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული სტანდარტითა და „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ნაცვლად „მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა“, პროგრამაში აღნიშნულია „მეოთხე საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებელი.“ პროგრამის მიზანია, სტუდენტს შეუქმნას სასწავლო გარემო და პირობები, კვალიფიციური სპეციალისტისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად. პროგრამაში გათვალისწინებული სწავლის შედეგები არ შეესაბამება მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. მასში ასახულია სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მხოლოდ მცირედი ნაწილი. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციებიდან, სწავლის შედეგებში მხოლოდ კომუნიკაციის უნარი არის სრულად წარმოდგენილი და შესაბამისი სტანდარტსა და ჩარჩოსთან. დაწესებულებას სასწავლო გეგმაში არ აქვს გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობა, თუმცა პროგრამაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გრაფაში აღნიშნული მაინც მითითებულია. ლაბორატორიული სამუშაო აგრეთვე მითითებულია პროგრამაში გათვალისწინებულ სწავლების მეთოდებში. ბიზნესის ეთიკის სილაბუსში გათვალისწინებული სწავლების მეთოდები არ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მეთოდებს, კერძოდ, სილაბუსში საუბარია სემინარებსა და სარეიტინგო ნაშრომებზე, რასაც ვერ ვხვდებით პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის

განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციაში არ ირკვევა პედაგოგთა კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის გრაფაში მითითებულია - ლექტორი ან პედაგოგი. დაწესებულებას არ გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, კერძოდ, ლინგოფონის კაბინეტი. საგნების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ბუღალტერიის მიმართულების კურსებს. თითქმის ყველა სილაბუსში აღინიშნება შემდეგი პრობლემები: სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობებში მითითებულია ისეთი საგნები, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, მაგ.: უმაღლესი მათემატიკა, სტატისტიკა. სასწავლო კურსის მიზანში საუბარია მომავალი ბაკალავრის მომზადებაზე, როდესაც პროგრამა პროფესიულ განათლებას შეეხება. არცერთ სილაბუსში არ არის გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ის რაც აღნიშნულია პროგრამაში. სილაბუსებში არ იკვეთება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლის თემატიკა, თუმცა დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „გვირაბი 95“-თან, რომლის მიხედვითაც კოლეჯის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ამ ფირმაში. სილაბუსებით ლექცია/სემინარებისათვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ შეესაბამება თემატიკის მიხედვით გამოყოფილ საათებს. (სილაბუსები: ბუღალტრული აღრიცხვის თეორია, ფინანსური აღრიცხვა). პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებული არ არის ეროვნული გამოცდები.

**1.2 ბუღალტერ-მოანგარიშის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით** მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროფესიული სტანდარტითა და „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ნაცვლად „ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა/ბუღალტერ მოანგარიშე“, პროგრამაში აღნიშნულია „ბუღალტერ-მოანგარიშის პროფესიული კვალიფიკაცია“. დაწესებულებას სასწავლო გეგმაში არ აქვს გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობა, თუმცა პროგრამაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გრაფაში აღნიშნული მაინც მითითებულია. „ლაბორატორიული სამუშაო“ აგრეთვე მითითებულია პროგრამაში გათვალისწინებულ სწავლების მეთოდებში. ბიზნესის ეთიკის სილაბუსში გათვალისწინებული სწავლების მეთოდები არ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მეთოდებს, კერძოდ, სილაბუსში საუბარია სემინარებსა და სარეიტინგო ნაშრომებზე, რასაც ვერ ვხვდებით პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციაში არ ირკვევა პედაგოგთა კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის გრაფაში მითითებულია - ლექტორი ან პედაგოგი. დაწესებულებას არ გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, კერძოდ, ლინგოფონის კაბინეტი. პროგრამაში სასწავლო პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათებიდან 25 საათი გათვალისწინებულია უცხო ენაში. დაწესებულებას ცალკე აქვს გათვალისწინებული 25 საათი კონსულტაციებისა და გამოცდებისათვის, რის მიხედვითაც პროგრამის მოცულობა ნაცვლად 30 კრედიტისა ფაქტობრივად შეადგენს 31 კრედიტს. თითქმის ყველა სილაბუსში აღინიშნება შემდეგი პრობლემები: სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობებში მითითებულია, ისეთი საგნები რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, მაგ. უმაღლესი მათემატიკა, სტატისტიკა. არცერთ სილაბუსში არ არის გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ის რაც აღნიშნულია პროგრამაში.

სილაბუსებით არ იკვეთება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლის თემატიკა, თუმცა დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „გვირაბი 95“-თან, რომლის მიხედვითაც კოლეჯის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ამ ფირმაში. სილაბუსებით ლექცია/სემინარებისათვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ შეესაბამება თემატიკის მიხედვით გამოყოფილ საათებს. (სილაბუსები: ფინანსური ანგარიშგების შედგენის პრინციპები; საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამები).

**1.3** ოფისმენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ნაცვლად „ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა“, პროგრამაში აღნიშნულია „ოფისმენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეორე პროფესიული კვალიფიკაცია“. პროგრამის მიზანია, სტუდენტს შეუქმნას სასწავლო გარემო და პირობები, კვალიფიციური სპეციალისტისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაძენად. დაწესებულებას სასწავლო გეგმაში არ აქვს გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობა, თუმცა პროგრამაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გრაფაში აღნიშნული მაინც მითითებულია. ლაბორატორიული სამუშაო აგრეთვე მითითებულია პროგრამაში გათვალისწინებულ სწავლების მეთოდებში. საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციაში არ ირკვევა პედაგოგთა კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის გრაფაში მითითებულია - ლექტორი ან პედაგოგი. დაწესებულებას არ გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, კერძოდ, ლინგოფონის კაბინეტი. თითქმის ყველა სილაბუსში აღინიშნება შემდეგი პრობლემები: სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობებში მითითებულია ისეთი საკითხები, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული და პროგრამაში არ დევს მისი შემოწმების მექანიზმი. „საქმიანი ურთიერთობა, კულტურა და ეტიკეტის“ სილაბუსში საგანზე დაშვების წინაპირობაა „კულტურის ისტორიის“ საფუძვლიანი ცოდნა. არცერთ სილაბუსში არ არის გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ის რაც აღნიშნულია პროგრამაში. სილაბუსებით არ იკვეთება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლის თემატიკა, თუმცა დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „გვირაბი 95“-თან, რომლის მიხედვითაც კოლეჯის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ამ ფირმაში. სილაბუსებით ლექცია/სემინარებისათვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ შეესაბამება თემატიკის მიხედვით გამოყოფილ საათებს.

**1.4** ოფისმენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში არსებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ნაცვლად „ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა“, პროგრამაში აღნიშნულია „ოფისმენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე პროფესიული კვალიფიკაცია“. პროგრამის მიზანია, სტუდენტს შეუქმნას სასწავლო გარემო და პირობები, კვალიფიციური სპეციალისტისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაძენად. სწავლის შედეგები იდენტურია მეორე საფეხურის ოფისის მენეჯერის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა. პროგრამაზე დაშვების



წინაპირობად მითითებულია სრული ზოგადი განათლება, როდესაც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №9/წ ბრძანების შესაბამისად თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის დიპლომის ფლობა ან არაფორმალური განათლების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რასაც აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს. დაწესებულებას სასწავლო გეგმაში არ აქვს გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობა, თუმცა პროგრამაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გრაფაში აღნიშნული მაინც მითითებულია. ლაბორატორიული სამუშაო აგრეთვე მითითებულია პროგრამაში გათვალისწინებულ სწავლების მეთოდებში. საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციაში არ ირკვევა პედაგოგთა კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის გრაფაში მითითებულია - ლექტორი ან პედაგოგი. დაწესებულებას არ გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, კერძოდ, ლინგოფონის კაბინეტი. თითქმის ყველა სილაბუსში აღინიშნება შემდეგი პრობლემები: სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობებში მითითებულია ისეთი საკითხები, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული და პროგრამაში არ დევს მისი შემოწმების მექანიზმი. „საქმიანი ურთიერთობის, კულტურისა და ეტიკეტის“ სილაბუსში საგანზე დაშვების წინაპირობაა „კულტურის ისტორიის“ საფუძვლიანი ცოდნა. არცერთ სილაბუსში არ არის გათვალისწინებული სწავლის შედეგები, ის რაც აღნიშნულია პროგრამაში. სილაბუსებით არ იკვეთება სასწავლო და საწამო პრაქტიკის გავლის თემატიკა, თუმცა დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „გვირაბი 95“-თან, რომლის მიხედვითაც კოლეჯის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ამ ფორმაში. სილაბუსებით ლექცია/სემინარებისათვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ შეესაბამება თემატიკის მიხედვით გამოყოფილ საათებს. ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტის) მეორე და მესამე საფეხურის პროგრამების სილაბუსების ნაწილი იდენტურია. მაგ: ინგლისური ენა, საქმის წარმოება, საქმიანი ურთიერთობის კულტურა და ეტიკეტი.

**1.5** მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. ოფისმენეჯერის (მდივან რეფერენტის) მეორე და მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები იდენტურია და, შესაბამისად, არ შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა, რამაზ ნამიჭიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ, დასკვნაში მოცემული შენიშვნების შესაბამისად, შესწორებების შეტანა მოხდა როგორც კვალიფიკაციებში, ასევე სწავლის შედეგებში, სილაბუსებში. ეს ცვლილებები განთავსდა დაწესებულების ვებგვერდზე. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის მოხდა ცვლილებების შეტანა პროგრამებსა და სილაბუსებში. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღეს მოხდა ცვლილებების განხორციელება. რაც შეეხება ტექნიკურ ხარვეზებს, ისინი გასწორდა ვიზიტის მეორე დღეს.

თავმჯდომარემ იმავე კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრს. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ყველა შენიშვნა ჩამოყალიბებულია იმ ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ვიზიტის მომენტში არსებობდა.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, ვიზიტის განმავლობაში თუ ხდება შენიშვნების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისათვის.

კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ თანახმად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს 3 დღე აქვს დასკვნის შესადგენად, შესაბამისად, დასკვნაზე მუშაობა თბილისში დაბრუნების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დაასრულეს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტს არ აქვს ვალდებულება, მიუთითოს დაწესებულებას შეცდომების შესახებ, ის ამოწმებს ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც ექსპერტთა ქმედება არის მართლზომიერი, თუმცა, ზოგადად სასურველია, შესამოწმებელ ობიექტში ექსპერტთა ჯგუფმა დატოვოს თავისი პროდუქტი, თავისი დასკვნა. თავმჯდომარემ დაამატა, რომ ხშირად დაწესებულების სიდიდიდან და საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობიდან გამომდინარე, ვიზიტის პერიოდი არ არის საკმარისი დასკვნის ადგილზე სრულყოფილი სახით ჩამოსაყალიბებლად.

კონსტანტინე ჩოკორაიას თქმით, დასკვნის ადგილზე ან რამდენიმე დღის შემდეგ გაცნობა დაწესებულებისათვის სამართლებრივ შედეგს მაინც არ ცვლის, იქედან გამომდინარე, რომ, კანონმდებლობის თანახმად, საბჭო იკვლევს უშუალოდ ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათი შეფასების შედეგად გამოაქვს გადაწყვეტილება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

## **2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:**

**2.1** სასწავლო ფართი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებაში არის სასწავლო მაგიდები, სკამები, ოცი კომპიუტერი, ორი პრინტერი (თუმცა დოკუმენტაციით დასტურდება, მხოლოდ ერთი პრინტერის ფლობა). საზოგადოებრივ კოლეჯს აქვს აგრეთვე დაფები, რომლის შეძენის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება, თუმცა, ფაქტობრივად, ისინი განთავსებულია სასწავლო აუდიტორიებში.

**2.2** დაწესებულების ბიბლიოთეკაში აღრიცხულია 2181 წიგნი. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდის უდიდესი ნაწილი არ არის საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, იოსებ სალუქვაძემ ჰკითხა მომხსენებელს, იყო თუ არა ბიბლიოთეკაში ის ლიტერატურა, რაც სილაბუსებშია მითითებული, რაზეც მომხსენებელმა დადებითად უპასუხა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

## **3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:**

საზოგადოებრივი კოლეჯის მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგა ხაჩიძე - განათლებით ქართული ენის ფილოლოგი, კითხულობს შემდეგ საგნებს: საქმის წარმოება, რედაქტირების საფუძვლები, ეთიკა, ბიზნესის ეთიკა, საარქივო საქმე; 2) შორენა გოცაძე - განათლებით ფილოლოგი, კითხულობს ურთიერთობის ფსიქოლოგიის საფუძვლებს; 3) ნანა კუჭუხიძე - განათლებით ისტორიკოსი, გარდა ისტორიისა კითხულობს: საქმიანი ურთიერთობების კულტურა და ეტიკეტი; 4) ირინა ჩაჩუა - განათლებით ეკონომისტი, კითხულობს სამოქალაქო სამართალსა და სამეწარმეო საქმეს.

დაწესებულების დირექტორის თქმით, შორენა გოცაძეს გავლილი აქვს ფსიქოლოგიის კურსები და მიღებული აქვს ამის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილ იქნა სხდომაზე. საბჭოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ მოთხოვნებს ადგენს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

საბჭომ გამოიკვლია დოკუმენტის შინაარსი და მიიჩნია, რომ ფსიქოლოგიის კურსების გავლა არ ადასტურებს ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის ქონას. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ შორენა გოცაძე ხუთი წელი ეკონომიკურ ლიცეუმში მუშაობდა ამ სპეციალობით, მაგრამ მან სხდომაზე ვერ წარმოადგინა მინიმუმ სამი წლის სტაჟის ქონის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა 10-წუთიანი შესვენება.

შესვენების დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 6

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს დამფუძნებელმა კახაბერ ერაქემ დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

## **5. შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - თათა ერქვანიამ. მისი თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონიათ.

თათა ერქვანიას თქმით, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სრულ შესაბამისობაში არიან როგორც კანონმდებლობასთან, ისე ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებთან. მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის აქვს ადაპტირებული გარემო, კერძოდ, მხედველობადაქვეითებული სტუდენტებისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები (მაგალითად: დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული უსინათლოთა კავშირთან, ფლობს აუდიო აპარატურას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი). შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე აქვს დამონტაჟებული პანდუსები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-სათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საგანმანათლებლო დაწესებულება SBA-ს 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 669-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა ნათელა დოლონაძემ დაადასტურა, რომ მა ს საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

## **6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:**

საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული კვალიფიკაციები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, თუმცა:

1.1 ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში კვალიფიკაცია „ამერიკისმცოდნეობის დოქტორი“ გათვალისწინებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ ქვედარგის/სპეციალიზაციის სვეტიდან. ამ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ დარგის/სპეციალობის სვეტში რეგიონმცოდნეობასთან მითითებულია: „1104 რეგიონმცოდნეობა, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით“. „ამერიკისმცოდნეობა“ არის რეგიონმცოდნეობის ქვედარგი/სპეციალიზაცია, შესაბამისად, დასაშვებია „ამერიკისმცოდნეობის დოქტორის კვალიფიკაცია“.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან წინააღმდეგობა არ არსებობს.

1.2 თურქული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში კვალიფიკაცია „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი თურქულ ფილოლოგიაში“ გათვალისწინებულია „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ მიმართულების და ქვედარგის/სპეციალიზაციის სვეტიდან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება ცვლილებების განხორციელება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში, სადაც შესაბამისი დარგის/სპეციალობის სვეტში ფილოლოგიასთან უნდა გაჩნდეს ისეთივე ჩანაწერი, როგორცაა რეგიონმცოდნეობასთან და ცენტრიც ამ პოზიციას იზიარებს.

1.3 კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაში კვალიფიკაცია „ინჟინერიის დოქტორი კომპიუტერულ მეცნიერებებში“ გათვალისწინებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ მიმართულების და ქვედარგის/სპეციალიზაციის სვეტიდან.

ჩარჩოში შესაბამისი ცვლილების ასახვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ცენტრს ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, რადგანაც საჭიროა განხილვები და მსჯელობა სხვადასხვა დაწესებულებასთან ერთად. ამასთან, სამივე პროგრამა არის სადოქტორო პროგრამა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, დოქტორანტურის პროგრამის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემდეგად. თუ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში“ შესაბამისი ცვლილება არ შევიდა, დაწესებულებას აკრედიტაციისას მოუწევს შესაბამისი დაზუსტების გაკეთება წარმოდგენილი პროგრამების მისანიჭებელ კვალიფიკაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს: რადგანაც სადოქტორო პროგრამები ექვემდებარება აკრედიტაციას, ავტორიზაციის მიზნებისათვის ამ ორ - თურქული ფილოლოგიისა და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე მსჯელობა რამდენად იყო მათთვის სასურველი. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აუქმებენ სადოქტორო პროგრამებს ავტორიზაციის ეტაპზე და იშუამდგომლა საბჭოს წინაშე, რათა საბჭომ იმსჯელოს სტანდარტებთან შესაბამისობაზე ამ ორი სადოქტორო პროგრამის გარეშე.

საბჭომ დააკმაყოფილა ავტორიზაციის მამიებლის შუამდგომლობა, იმსჯელა ამ ორი სადოქტორო პროგრამის გამოკლებით, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

## **2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:**

სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების შესაძლებლობით; თუმცა „ბ“ კორპუსში განთავსებულ 4 აუდიტორიაში, საერთო ფართობით 177,1 კვ.მ., რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით, არ არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ასეთი სახის, ბუნებრივი განათების არმქონე, ფართი ითვლება არა სასწავლო, არამედ დამხმარე ფართად. შესაბამისად, საერთო ფართის ფარგლებში 177.1 კვ.მ. გამოაკლდება სასწავლო ფართს და დაემატება დამხმარე ფართს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

## **3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:**

ვიზიტის პერიოდში არსებული აკადემიური პერსონალი შერჩეულია ოთხი კონკურსის შედეგად - სულ ჯამში 49 აკადემიური პერსონალი.

მეორე კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება აისახა მმართველი საბჭოს სხდომის ოქმში №15, 23.06.2010. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ 2010 წლის 2 აგვისტოს. საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 23 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე. დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა საბუთების მიღების ვადებთან დაკავშირებით, არაა დაცული კონკურსის გამოცხადების შემდეგ საბუთების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 1 თვიანი ვადა. კონკურსის შედეგად აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნენ:

1. ეკატერინე ზაკარაძე - ასოცირებული პროფესორი;
2. ეკატერინე ფიფია - ასოცირებული პროფესორი;
3. ირმა მესირიძე - ასოცირებული პროფესორი;



4. ალექსანდრე მაიერი - ასოცირებული პროფესორი;

5. ფატიჰ საიინი - ასისტენტ-პროფესორი.

მესამე კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება აისახა მმართველი საბჭოს სხდომის ოქმში №19, 29.09.2010. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ განათლებაში“ 2010 წლის 7 ოქტომბერს. საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 11 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით. დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა საბუთების მიღების ვადებთან დაკავშირებით, არაა დაცული კონკურსის გამოცხადების შემდეგ საბუთების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 1 თვიანი ვადა. კონკურსის შედეგად აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნენ:

1. გიორგი შადური - ასოცირებული პროფესორი;

2. თეა კბილცეცხლაშვილი - ასოცირებული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსის წესის დარღვევით არჩეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირები არ ჩაითვლება აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაში, იმ შემთხვევაში, თუ საბჭომ მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, დაწესებულებას ჩაეთვლება 42 აკადემიური თანამდებობის პირი.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება:**

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1293-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დიმიტრი კვალიაშვილმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

## **7. შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - ბექა ძამაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:**

1.1 სამაგისტრო პროგრამების მიხედვით, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას. თუმცა დაწესებულების რექტორის 2010 წლის 28 სექტემბრის №რ-11 ბრძანების შესაბამისად, 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მაგისტრატურაში სასწავლო პროცესი დაიწყო 7 მარტს და საგამოცდო სესიები უნდა დასრულდეს 9 ივლისს. შესაბამისად, მიმდინარე სემესტრის ხანგრძლივობა არის 18 კვირა. შემოდგომის სემესტრი იყო 19-კვირიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე სასწავლო წელი 37 კვირას მოიცავს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც აკადემიური წელი მოიცავს 38-45 კვირას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა იყო დაშვებული. კერძოდ, საგამოცდო სესიების დასრულებისა და არდადეგების დაწყების თარიღად მითითებული უნდა ყოფილიყო 15 ივლისი.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანების ასლი, რომელშიც 5 ივლისის ნაცვლად საზაფხულო არდადეგების დაწყების თარიღად მითითებული იყო 15 ივლისი. საბჭომ საკითხის გამოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ სხდომაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ აბათილებდა ექსპერტთა პოზიციას, რადგან ბრძანების ავთენტური ასლი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან წამოღებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სასწავლო წლის ხანგრძლივობა შეადგენდა 37 კვირას.

1.2. არც ერთ სილაბუსში თემები გაშლილი არ არის კვირების მიხედვით, ვერ დგინდება სტუდენტის რეალური დატვირთვა. მოცემულია მხოლოდ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეჯამებული მონაცემები.

თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა, განემარტა, აღნიშნულით ირღვეოდა თუ არა ავტორიზაციის რომელიმე სტანდარტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების მოთხოვნას.

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა. საბჭოს პოზიციით, სასურველია, რეკომენდაციები იყოს გათვალისწინებული, თუმცა მათი გაუთვალისწინებლობა არ არის საფუძველი ავტორიზაციაზე უარის თქმისათვის.

1.3. პრაქტიკის სილაბუსებში მოცემულია ზოგადი მიზანი, რომელიც საერთოა ყველა პროგრამისათვის.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის მიზანი ყველა პროგრამის ფარგლებში შეიძლება იყოს ერთგვაროვანი, რომელიც შინაარსობრივად მოერგება ყველა პროგრამას. აღნიშნული არ წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა აღიშნა, რომ პრაქტიკის მიზანი ზოგადია და ნებისმიერ პროგრამაში შეიძლება, ერთნაირი იყოს. საბჭოს მდივანი გაიანე სიმონია დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა.

1.4. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში:

ა) საგანი ბიოფიზიკა სასწავლო გეგმით არის 4-კრედიტიანი, ხოლო წარმოდგენილი სილაბუსი გაწერილია 3 კრედიტზე, შესაბამისად, მთლიანობაში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა არის 239-კრედიტიანი, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ბაკალავრიატი მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა ამობეჭდვის დროს და საგანმანათლებლო პროგრამა რეალურად 240-კრედიტიანია.

საბჭომ გამოიკვლია აღნიშნული სილაბუსი და დაადგინა, რომ სტუდენტის დატვირთვა განაწილებული იყო 75 საათზე, შესაბამისად, მიიჩნია, რომ სილაბუსში არ იყო დაშვებული ტექნიკური შეცდომა, არამედ სილაბუსი რეალურად 3 კრედიტზე იყო გაწერილი.

ბ) სწავლის შედეგებში ცოდნა და გაცნობიერება აღწერილია, როგორც უნარი.

საბჭოს მოთხოვნით, მომხსენებელმა გამოაქვეყნა ერთ-ერთი სილაბუსის შესაბამისი ნაწილი, სადაც ცოდნა და გაცნობიერება აღწერილი იყო, როგორც უნარი. მომხსენებელმა წაიკითხა:

„მომხმარებლისათვის ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენის უნარი (დოზირება, გამოყენება, უსაფრთხოება, წამალთფორმები და ა.შ.)

პრაქტიკული უნარ-ჩვევები (სამკურნალო საშუალებების მომზადება)

პრაქტიკული უნარ-ჩვევები (სამკურნალო საშუალებების ანალიზი)

ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი.

ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი.

ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეფექტურად კომუნიკაციის უნარი....“

საბჭომ მიიჩნია, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, სწავლის შედეგებში ცალკეა გამოყოფილი ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტი, უნარები და ღირებულებები. შესაბამისად, ცოდნა და გაცნობიერება უნდა განსხვავდებოდეს უნარებისაგან.

1.5. ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაში:

- ა) ისწავლება საგანი „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი“, რომლის საერთო მოცულობაა 65 კრედიტი და ისწავლება 1-7 სემესტრების განმავლობაში.
- ბ) საგნის - „ინგლისური ლიტერატურის ისტორიის“ საერთო მოცულობაა 15 კრედიტი და ისწავლება 5-7 სემესტრების განმავლობაში.

ორივე შემთხვევა ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

ზეპირ მოსმენაზე საბჭომ გამოიკვლია აღნიშნული პროგრამა და სილაბუსები, რის შედეგადაც დაადგინა, რომ, მართალია, წარმოდგენილი იყო ერთიანი სილაბუსი, მაგრამ პროგრამის შესაბამისად, აღნიშნული საგანი ჩამოილია სემესტრების მიხედვით (ფონეტიკა, ლექსიკა და ა.შ) და ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტის შეფასება. შესაბამისად, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება.

1.6. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში საგნების „სანივთო სამართალი“ და „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების“ წინაპირობა არის „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, რომელიც საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, შეუძლებელია „სანივთო სამართლისა“ და „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების“ არჩევა და რადგან ეს საგნები წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს, შეუძლებელია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის“ სილაბუსი, რომელიც შინაარსობრივად იგივეა, რაც „შესავალი სამოქალაქო სამართალში“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭომ თავმჯდომარემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი არ უნდა იყოს სტუდენტისათვის დამაბნეველი. მას საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე შეუძლია დაადასტუროს, რომ სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი და შესავალი სამოქალაქო სამართალში შინაარსობრივად არსებითად იდენტურია, თუმცა საბჭოს, მით უმეტეს ავტორიზაციის ექსპერტს, არ შეუძლია (საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე) ყველა შემთხვევაში იმსჯელოს ასეთ საკითხებზე. ახლა რომ განიხილავდნენ სამედიცინო ან სხვა სპეციალობის კურიკულუმს, მასაც არ ექნებოდა კომპეტენცია დაედგინა სხვადასხვა სახელწოდების ორი დისციპლინის შინაარსობრივი იგივეობა.

1.7 ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგებში არ არის გაწერილი ღირებულებების კომპონენტი, რომლის არსებობასაც ითხოვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო“.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მართალია პროგრამაში ღირებულებები არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ პროგრამების კატალოგი ითვალისწინებდა მათ არსებობას. პროგრამის ამობეჭდვის დროს მბეჭდავმა დაუშვა შეცდომა. მან ბოლომდე არ ამობეჭდა პროგრამა.

საბჭომ მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, უშუალოდ პროგრამა ითვალისწინებდეს ღირებულებებს, შესაბამისად, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნა.

1.8 საგანი - „აკადემიური წერა“ ისწავლება ფინანსების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებზე. საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია 2 კრედიტის მოცულობით, ხოლო მაგისტრატურაში - 5 კრედიტის მოცულობით. აღნიშნულ სილაბუსებში აბსოლუტურად ერთნაირია კურსის მიზანი, სწავლის შედეგების, ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტი, სასწავლო კურსის შინაარსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ სილაბუსებში მართალია მიზანი და შინაარსი არის ერთი და იგივე, მაგრამ სწავლის შედეგები განსხვავებულია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველია, როგორ შეიძლება, მიაღწიო განსხვავებულ სწავლის შედეგებს, მაშინ, როდესაც სასწავლო კურსებს აქვთ იდენტური მიზნები და შინაარსი.

1.9 სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, ფინანსების საბაკალავრო პროგრამა, ფინანსების სამაგისტრო პროგრამა არ იძლევა კომუნიკაციის უნარის გამომუშავების საშუალებას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნაწილში. პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიები და არც სხვა საგნებში არ არის ინტეგრირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენების უნარის გამომუშავების მექანიზმი. ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანი „ეკონომიკური ინფორმატიკა“ ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. მან წარმოადგინა აღნიშნული პროგრამები, რომლებიც გამოიკვლია ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა და დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას. საკითხის გამოკვლევის შედეგად საბჭომ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ ორ პროგრამასთან მიმართებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შენიშვნა ძალაში რჩება სამართალმცოდნეობისა და ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამართალმცოდნეობისა და ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კომუნიკაციის უნარი გამომუშავდება პრეზენტაციების მეშვეობით, რომლის არსებობასაც ითვალისწინებს ყველა სილაბუსი.

მომხსენებლის განმარტებით, პრეზენტაციის მეშვეობით გარანტირებულად ვერ გამომუშავდება კომპიუტერული უნარები, რადგანაც პრეზენტაცია შესაძლებელია კომპიუტერული მოწყობილობების გამოყენების გარეშეც გაკეთდეს.

1.10. დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას დარგის სპეციალისტებთან და პროფესიულ საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე გადაცემის ნაწილში შემდეგ

საგანმანათლებლო პროგრამებში: 1) სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა; 2) კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა; 3) სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა; 4) ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა; 5) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა; 6) სამკურნალო საქმის ერთსაფეხურიანი პროგრამა.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ისწავლება მხოლოდ ზოგადი უცხოური ენა და სტუდენტს არ გამოუმუშავდება სპეციალისტებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები. ეს დასტურდება სილაბუსის შესწავლით.

სისხლის სამართლისა და კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კი ისწავლება ბიზნეს ინგლისური.

შესაბამისად, ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

## **2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმდა სილაბუსები ყველა საგანმანათლებლო პროგრამიდან, სულ 29 სილაბუსი. სილაბუსებში მითითებული 150 ძირითადი ლიტერატურიდან ბიბლიოთეკაში მოიძებნა მხოლოდ 33 სახელმძღვანელო. ამასთან მხოლოდ ერთი სილაბუსი (საქართველოს საგადასახადო სისტემა და პოლიტიკა) აღმოჩნდა ისეთი, რომელშიც მითითებული ლიტერატურა სრულად მოიძებნა ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკაში საერთოდ ვერ მოიძებნა შერჩეულ სილაბუსებში მითითებული უცხოენოვანი (ინგლისური, გერმანული, რუსული) ლიტერატურა. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, ინგლისურ ლიტერატურაზე წვდომა სტუდენტებს აქვთ ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები (№2010-7/2; №2011-5/6)), რომლის მიხედვითაც, შპს - უნივერსიტეტ „მეტეხს“ ეძლევა უფლება გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

EBSCOHost (<http://search.epnet.com>)

Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>)

Oxford University Journals (<http://www.oxfordjournals.org>)

ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო ელექტრონულ რესურსებთან წვდომა და შესაბამისად უცხოენოვანი ლიტერატურა ექსპერტთა ჯგუფს ელექტრონული სახითაც ვერ წარედგინა. მხოლოდ ვიზიტის დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე მოხერხდა ელექტრონული რესურსის გამოყენება, თუმცა იქ ვერ მოიძებნა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა.

რაც შეეხება ქართულენოვან, რუსულენოვან და გერმანულენოვან ლიტერატურას, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სარგებლობდნენ სსიპ - საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკის რესურსით, 2010 წლის 9 ივნისს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინეს ბიბლიოთეკაში არარსებული სახელმძღვანელო - Raymond Murphy – Essential Grammar In Use. აღსანიშნავია, რომ ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს ინგლისური ენის სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურას თითქმის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის. დაწესებულებამ აღნიშნული სახელმძღვანელო აიყვანა აღიცხვავზე.

მომხსენებლის განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით სილაბუსში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის მოძიება მითითებულ ვებპორტალებზე ვერ



მოხერხდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამ პორტალების გამოყენება იცინა სტუდენტებმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ არსებობდა ისეთი სილაბუსი, რომელში მითითებული ძირითადი ლიტერატურიდან არც ერთი წიგნი არ მოიძებნა ბიბლიოთეკაში. მომხსენებელმა განმარტა, რომ ასეთი სილაბუსი იყო რამდენიმე და მაგალითისათვის გამოაქვეყნა ორი მათგანი: ორგანული ქიმიის, აგრეთვე თარგმნის ისტორიისა და თეორიის სილაბუსები.

თარგმნის ისტორიისა და თეორიის სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოების შესახებ დაწესებულებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მოძიება ელექტრონულად იყო შესაძლებელი. მომხსენებელმა გამოაქვეყნა აღნიშნული საგნის ძირითადი ლიტერატურა, რომელთა შორისაც იყო ქართული გამოცემლობის მიერ დაბეჭდილი სახელმძღვანელოები. აღნიშნულის საფუძველზე საბჭომ დაადგინა, რომ შეუძლებელია, ეს წიგნები ინგლისურენოვანი პორტალის საძიებო სისტემაში ყოფილიყო განთავსებული.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

### **3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:**

დაწესებულებაში მოქმედი აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის შედეგად.

დაწესებულების რექტორის 2010 წლის 17 დეკემბრის №რ-19 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რექტორის 2011 წლის 4 იანვრის №რ-1 ბრძანებით გამოცხადდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი. ბრძანების მიხედვით, განისაზღვრა კონკურსის ვადები, თუმცა პირობები არ გამოცხადებულა. ბრძანების შესაბამისად კონკურსის შესახებ ინფორმაცია 11 აპრილს უნდა განთავსებულიყო დაწესებულების ვებგვერდზე: [www.metekhiuni.edu.ge](http://www.metekhiuni.edu.ge); დასაქმების საგენტოს „ეიჩ არის“ ვებგვერდზე: [www.hr.com.ge](http://www.hr.com.ge) და საჯაროდ უნდა გამოქვეყნებულიყო უნივერსიტეტის შენობაში.

დაწესებულების ვებგვერდზე გამოცხადებულია როგორც კონკურსის ვადები, ისე პირობები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ასევე დაცულია კონკურსის ვადები ბრძანების მიხედვით, თუმცა მოცემულია შეუსაბამობა, კერძოდ, ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, კონკურსის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო 11 აპრილს, როდესაც რეალურად 11 აპრილი ბრძანებით უკვე კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადად განისაზღვრა.

უშუალოდ კონკურსის ჩასატარებლად ფაქტობრივად განხორციელებული პროცედურა ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, საკონკურსო საბუთების მიღება მიმდინარეობდა 21 თებერვლის ჩათვლით. ბრძანების მიხედვით კონკურსის პირველი ეტაპი უნდა ჩატარებულიყო 22-23 მარტს, მეორე ეტაპი - 30 მარტს, ხოლო მესამე ეტაპი - 5 აპრილს. რეალურად კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართა 22 თებერვალს, მეორე ეტაპი 25 მარტს, ხოლო მესამე ეტაპი 6 აპრილს. ამით კი დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში. დაწესებულების მიერ კი კონკურსის პირველი ეტაპი უკვე საბუთების მიღებიდან მე-2 დღეს ჩატარდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბრძანებით დადგენილი კონკურსის ვადები სრულ შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან.

მომხსენებლის განმარტებით, მართალია, ბრძანება აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, მაგრამ ფაქტობრივად განხორციელებული პროცედურა არღვევდა ვადებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა საშუალებების გამოყენებით დაადგინა ექსპერტთა ჯგუფმა ფაქტობრივად განხორციელებული პროცედურის ვადები, რაზეც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ



ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები და პერსონალის დანიშვნის შესახებ ბრძანებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოქმების დათარიღებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

საბჭომ იმსჯელა კონკურსის შესახებ და დაადგინა, რომ ფაქტობრივად განხორციელებული პროცედურა არღვევდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც, კანონმდებლობის დარღვევით შერჩეული აკადემიური თანამდებობის მქონე სამი პირი, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის რაოდენობაში არ ჩაითვლება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხისთვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 6

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56<sup>4</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, 22<sup>15</sup> სთ-ზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კახი ყურაშვილი  
საბჭოს თავმჯდომარე

გაიანე სიმონია  
საბჭოს მდივანი